ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №124

ქ. ქუთაისი 20 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის ირინე ლომინაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ მურთაზ ეჯიბაძე (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

თეატრში 2016 წლის 27 დეკემბერს დაგეგმილი სპექტალისთვის „აბესალომ და ეთერი“ 4 ცალი პატარა (ერთეულის ფასი 6 ლარი) და 1 ცალი დიდი (ერთეულის ფასი 31 ლარი) აფიშების დაბეჭდვა (CPV კოდი 79800000) (შემდგომში მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 55.0 (ორმოცდათხუთმეტი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან და/ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და/ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემდეგ.
4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირინე ლომინაძე.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №186
5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით.

---------- ----------

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის
ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
მის.: ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ. №17
საიდენტიფიკაციო კოდი 212698482
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი 708407019

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი
ირინე ლომინაძე

მიმწოდებელი:
ი/მ მურთაზ ეჯიბაძე

მის.: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ.№ 186
საიდენტიფიკაციო კოდი 60001015541
თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE51TB7346936010100017

ი/მ
მურთაზ ეჯიბაძე